პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 21[1] მუხლი:

„მუხლი 21[1]

დაუშვებელია პარტიის დამფუძნებელი, ხელმძღვანელი, წევრი, ამ კანონის მე-16-მე-19 მუხლებით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელი ან ამ ორგანოს წევრი იყოს ის პირი, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აეკრძალა პოლიტიკური პარტიის დაფუძნება, პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობა, წევრობა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-მე-19 მუხლებით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელისა და ამ ორგანოს წევრის თანამდებობის, სახელმწიფო-პოლიტიკური, პოლიტიკური თანამდებობისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება.“.

2. 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარტიას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ:

ა) მისი წესდება ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ან ამ კანონის მოთხოვნებს;

ბ) მისი წესდების ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტების თანახმად დასტურდება, რომ პოლიტიკური პარტიის დამფუძნებელი, ხელმძღვანელი, წევრი, ამ კანონის მე-16-მე-19 მუხლებით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელი ან ამ ორგანოს წევრი შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აეკრძალა პოლიტიკური პარტიის დაფუძნება, პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობა, წევრობა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-მე-19 მუხლებით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელისა და ამ ორგანოს წევრის თანამდებობის, სახელმწიფო-

პოლიტიკური, პოლიტიკური თანამდებობისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება.“.

3. 26-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) იმ პირისგან, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აეკრძალა პოლიტიკური პარტიის დაფუძნება, პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობა, წევრობა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-მე-19 მუხლებით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელისა და ამ ორგანოს წევრის თანამდებობის, სახელმწიფო-პოლიტიკური, პოლიტიკური თანამდებობისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**